

მდგრადი განვითარებისა და რეგიონალური დაგეგმარების პროექტი (SLAR)

პროექტს ახორციელებს ქვა საერთაშორისო კავკასიაში პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად. პროექტის დამფინანსებელია დიდი ბრიტანეთის საერთაშორისო განვითარების დეპარტამენტი (DFID).

პროექტის მიზანია სოფლის მოსახლეობის საარსებო საშუალებების მდგრადი გაუმჯობესება, სიღარიბის დაძლევა და შესაძლო კონფლიქტების თავიდან აცილება საქართველოს მაკროეკონომიკის რეგიონებში. “საარსებო საშუალებების მდგრადი განვითარებისა და რეგიონალური დაგეგმარების” პროექტი არის “ადიგენისა და მიმდებარე რაიონების მდგრადი განვითარების” პროექტისა გაგრძელება, რომელიც სამცხე-ჯავახეთის ოთხ რაიონში განხორციელდა 2002-2005 წლებში.

ახალი პროექტი სამცხე-ჯავახეთის ექვსივე რაიონს მოიცავს. იგი ხელს უწყობს სოფლის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციას, სამუშაო ადგილების შექმნას და სამეწარმეო საქმიანობის განვითარებას. კერძოდ, პროექტი სხვადასხვა ტიპის გრანტებითა და კრედიტებით ხელს უწყობს სასოფლო-სამეურნეო და სხვა ტიპის მცირე ბიზნესის განვითარებას. იგი ასევე ითვალისწინებს დამწყები ბიზნესმენებისა და ფერმერებისთვის მეწარმეობის საფუძვლების სწავლებას.

წინამორბედისგან განსხვავებით ახალ პროექტს მნიშვნელოვანი კომპონენტი დაემატა – რეგიონალური დაგეგმარების თანამედროვე მოდელების შემუშავება, რაც უფრო ეფექტურს გახდის რეგიონის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას. პროექტის ამოცანაა, ხელი შეუწყოს შემუშავებული მოდელებისა და მეთოდების გავრცელებას ქვეყნის მასშტაბით.

რეგიონალური დაგეგმვის სისტემა

პროექტი დაეხმარება რეგიონის ხელმძღვანელობას დაამკვიდროს დაგეგმვის ახალი, უფრო ეფექტური სისტემა, რომელიც მონაწილეობრივ პრინციპზე იქნება დაფუძნებული. ეს სისტემა რეგიონის განვითარების დაგეგმვაში ადგილობრივი მოსახლეობის, რეგიონალური მთავრობისა და არასამთავრობო ორგანიზაციების ერთობლივ მონაწილეობას ითვალისწინებს. პროექტის მიერ რეკომენდებული სისტემა გააუმჯობესებს მართვის პროცესს, უზრუნველყოფს რეგიონის განვითარების ეფექტური პოლიტიკის ჩამოყალიბებას და მოიზიდავს გაცილებით მეტ შიდა და გარე ინვესტიციას.

ინფრასტრუქტურის განვითარება

პროექტს, რეგიონის ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის 2 მილიონი ლარი აქვს გამოყოფილი. ეს თანხა გრანტების სახით გაიცემა თემის მიერ შემოთავაზებულ პროექტებზე ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტების მიხედვით.

პროექტი ასევე ითვალისწინებს მცირე ზომის გრანტებს სოციალური, სპორტული, კულტურული და სხვა საზოგადოებრივი ინიციატივების განსახორციელებლად.

ორი წლის განმავლობაში პროექტი გასცემს 30 გრანტს ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისთვის, ხოლო 20 მცირე გრანტს თემის ინიციატივების დასაფინანსებლად.

სასოფლო-სამეურნეო საკონსულტაციო მომსახურება

პროექტის ფარგლებში ჩამოყალიბდა რეგიონის სასოფლო-სამეურნეო საკონსულტაციო სამსახურების ქსელი. ეს არის დამოუკიდებელი ორგანიზაცია კვალიფიციური პერსონალით, რომელიც ადგილობრივ მოსახლეობას კონსულტაციას უწევს სოფლის მეურნეობისათან დაკავშირებულ და იურიდიულ საკითხებზე. ქსელი აგრეთვე ხელს უწყობს სოფლის მეურნეობაში ახალი ტექნოლოგიების დანერგვას, თემის მობილიზაციას და თემში სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

საბაზრო ინფრასტრუქტურის განვითარება

სოფლის მოსახლეობის საარსებო საშუალებების გაუმჯობესებისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი ფერმერთა კოოპერატივების შექმნაა.

პროექტმა უკვე შეარჩია ფერმერთა 12 არაფორმალური ჯგუფი, რომლებთანაც მუშაობს წარმოების გაუმჯობესების, სასოფლო-სამეურნეო მასალებით მომარაგებისა და ფერმერული მომსახურების კუთხით. პროექტის ხელშეწყობით, ამ 12 ჯგუფიდან 2 მომსახურების და 4 მეწარმეთა კოოპერატივი შეიქმნება. ახლადშექმნილი კოოპერატივების შემდგომი განვითარების მიზნით, პროექტი დაეხმარება ფერმერებს საჭირო ცოდნის მიღებაში, გასცემს გრანტებს და შეიმუშავებს მოსახერხებელ საკრედიტო პაკეტებს. კრედიტებს სლარის პარტნიორი მიკრო-საფინანსო ორგანიზაცია “კონსტანტა” გასცემს.

ახალი სამუშაო ადგილების შექმნა სოფლის მცხოვრებთათვის

პროექტი აქტიურად უჭერს მხარს სოფლის მეურნეობაში ახალი ტექნოლოგიების დანერგვის გზით შემოსავლების ზრდას. ხელს უწყობს მცირე საწარმოების განვითარებას და ეხმარება

ფერმერებს პროდუქციის რეალიზაციაში. მესაქონლეობის თანამედროვე მეთოდებისა და სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოყვანის ახალი ტექნოლოგიების წარმოჩენის მიზნით, პროექტი გეგმავს 110 სადემონსტრაციო ნაკვეთის მოწყობას.

პროექტი ასევე ითვალისწინებს სწავლებებს სოფლის უმუშევარი მოსახლეობისთვის. 100-ზე მეტ უმუშევარს ჩაუტარდება ტრენინგი დაგეგმვაში, მარკეტინგსა და ბიზნესის სხვა უნარ-ჩვევებში.

უფლებათა დაცვა და კონფლიქტების მოგვარება

სოფლის მოსახლეობის უფლებების დაცვა ერთ-ერთი აუცილებელი ასპექტია რეგიონში კერძო ბიზნესის განვითარებისთვის. პროექტი “დავების ალტერნატიული გადაწყვეტის კავკასიის ინსტიტუტთან” ერთად აყალიბებს მესამე მხარის სარბიტრაჟო სასამართლოს, რაც უფრო გამჭვირვალეს და მარტივს გახდის ადგილობრივი კონფლიქტების მოგვარების პროცესს. მოდავე მხარეთა შორის მედიატორის როლს ამ საქმიანობისთვის შესაბამისად მომზადებული და მაღალკვალიფიცირური იურისტები შეასრულებენ.